სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“

2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების

ანგარიში

ქ. ახალციხე
2020 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ 2019 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის 2019 - 2024 წლების ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმადან და ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ერთობლივი მუშაობის შედეგია. ერთწლიანი განვითარების გეგმა წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს, რომლის შესრულებაც შესაძლებელია ერთი წლის მანძილზე და რომელიც ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებული რგოლის გაერთიანებას საერთო ღირებულებებისა და მიზნების ირგვლივ.

გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) იდენტიფიკაციას და განსაზღვრავს განხორციელების დროს.

№	გასატარებელი ღონისძიებები	ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი (პირები)
1	2019 წლის კოლეჯის სრული ავტორიზაციის გავლა	კოლეჯმა სრული ავტორიზაცია გაიარა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით #153 2019.15.08 მათ შორის 12 პროგრამა: 1.სატყეო საქმე 2. ვეტერინარია 3. შედუღება 4. ხის მმხატვრული დამუშავება 5. იატაკისა და ფილის სამუშაოები 6. საავტომობილო გზების მშენებლობა 7. ვებ ტექნოლოგიები 8. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა 9. სავალი ნაწილის შეკეთება-ახალი 10. აგრომექანიზაცია -ახალი 11. სასუმრო მომსახურება-ახალი 12. ელექტროობა -ახალი

2	პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება	სსიპ განათკლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის #137 ბრძანებით დადასტურება იქნა მიღებული 6 მომზადება -გადამზადების პროგრამაზე . ელექტრო ქვესადგურების მომსახურება (გადამზადება) - მეოთხე დონე . თევზის კულტივირება(ლიფსიტების გამოყვანა-გამოზრდა (გადამზადება) - მესამე დონე . ლითონის შედუღება და ჭრა (გადამზადება) - მესამე დონე . პროგრამები (Potoshop, Autodesk 3ds Max, Autodesk-Autocad) მშენებლებისათვის (გადამზადება) - მესამე დონე . სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება (გადამზადება) - მეოთხე დონე . ფინანსური ანგარიშგება-დეკლარირება (გადამზადება) - მეოთხე დონე
3	საშტატო განრიგში ცვლილების შეტანა, შტატგარეშე თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა და შეთანხმება სამინისტროსთან.	საშტატო გაიზარდა 2 ერთეულით (ბუღალტერი, ხარისხის სპეციალისტი). დაემატა ერთი შტატგარეშე თანამშრომელი მოკლევადიანი მომზადება -გადამზადების კოორდინატორი
4	თანამდებობრივი ფუნქციების გადახედვა	შემუშავებულ იქნა ახალი თანამდებობებისთვის თანამდებობრივი ფუნქციები
5	საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის თანამდებობრივი სარგოს გაზრდა.	საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშროელთა ხელფასი გაიზარდა 30% მდე, მასწავლებლის ხელფასი 1 სთ ღირებულება 8 დან 12 ლარამდე.
6	დაფინანსების გაზრდისა და კოლეჯის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით დონორი ორგანიზაციების მოზიდვა	სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარება ქვეპროგრამის ფარგლებში ჩარიცხულია 128450 ლარი, განათლების ინფრასტრუქტურიდან 3700 ლარი

7	სახელმწიფო პროგრამებში (ჯანდაცვის მიერ დაფინანსებული ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა“)მონაწილეობის მიღება.„სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ პროექტებში მონაწილეობის მიღება.	,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვარის №9 დადგენილების მე-2 მუხლის გ) პუნქტის შესაბამისად მიმწოდებელი არის საჯარო/კერძო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები (რომელსაც ავტორიზაციის ვადა ეწურება 2019 წლის შემდგომ) დამოუკიდებლად ან პარტნიორ ორგანიზაციასთან/დამსაქმებელთან ერთად. სსიპ კოლეჯმა ,,ოპიზარი“ 2019 წელს გაიარა 6 წლიანი ავტორიზაცია 12 პროგრამაზე, მაგრამ აღნიშნული ჩანაწერის გამო კოლეჯმა ვერ მიიღო მონაწილეობა, თუმცა მზაობა იყო და მომზადებული ქონდა ყველ აპროგრამა და დოკუმენტაცია.
8	ინვენტარიზაციის ჩატარება	ინვენტარიზაცია ჩატარდა დადგენილ ვადებში, შედგა საინვენტარიზაციო აღწერილობები, შესადარი უწყისები, შესწავლილ იქნა დებიტორ-კრედიტული დავალიანებები.
9	იმიჯისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით კოლეჯის ინიციატივით, ადგილობრივი თვითმართველობისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.	.1. მონაწილეობა მივიღეთ 26 მაისთან დაკავშირებულ ღონისძიებაში 2. 15-16 ივნისს მონაწილეობა მივიღეთ თბილისში ,,ქართულ-გერმანულ დღეებში“ 3. 23 სექტემბერი ახალგაზრდულ ორგანიზაციათა რეგიონალური ფესტივალი

10	საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვა.	2019 წლის გაზაფხულზე - 8 საგნმანათლებლო პროგრამაზე მივიღეთ 12 ჯგუფი: შედუღება,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა 2 ჯგუფი,თმის სტილისტი 2 ჯგუფი,იატაკის და ფილის სამუშაოები 2 ჯგუფი,ხის მხატვრული დამუშავება,ბუღალტრული აღრიცხვა 2 ჯგუფი, მეფუტკრე,საავტომობილო გზების მშენებლობა. 2019 წლის შემოდგომაზე 11 საგანმანათლებლო პროგრამაზე მივიღეთ 14 ჯგუფი: ელექტროობა,სატყეო საქმე 2 ჯგუფი,შედუღება, ხის მხატვრული დამუშავება,იატაკისა და ფილის სამუშაოები,ვეტერინარია 2 ჯგუფი,საავტომობილო გზების მშენებლობა,ვებტექნოლოგიები 2 ჯგუფი,აგრომექანიზაცია,სავალი ნაწილის შეკეთება,სასტუმრო მომსახურება.
11	სსსმ და შშმპ პირთა კონტიგენტის გაზრდა და მათი დასაქმების ხელშეწყობა.	2019 წლის გაზაფხულის მიღებაზე ჩაირიცხა ორი სსსმ სტუდენტი ხოლო შემოდგომით ოთხი.2019 წელს კოლეჯში სხვადასხვა სპეციალობებზე სულ 12 სსსმ სტუდენტი სწავლობდა .
12	ღია კარის დღეების ორგანიზება	2019 წლის 17 აპრილი ღია კარის დღე ქ.ვალეს ახალგაზრდული კლუბის წევრების სტუმრობა კოლეჯში პროფესიული ორიენტაციის მიზნით.
1	კოლეჯში კვალიფიციური, მოტივირებული კადრების მოზიდვა	ხელშეკრულება გაფორმდა 12 ახალ პედაგოგთან
2	სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა	აღნიშნულის მიზნით ხარისხის მართვის სპეცილაისტის საშტატო ერთეულის დამატება.

3	სტუდენტთა შეფების სისტემის სრულყოფა	შეფასების სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით სისტემატურად ხდება ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება, რაც გათვალისწინებული იქნება შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-გაუმჯობესების პროცესში. საპილოტე რეჟიმში განხორციელდა დუალურ განათლებაში შეფასების მონიტორინგი. რომლის რეკომენდაციებიც იქნება გათვალისწინებული
4	წარჩინებული მასწავლებლების გამოვლენა-დაჯილდოვება	დაჯილდოვდა ავთანდილ აკოფაშვილი - სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში განათლების სამინისტროს მიერ. მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების დადგენის შემდეგ მოხდება მასწავლებლების შეფასება.
5	პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელება	მუდმივად მიმდინარეობს მასწავლებლების ტრენინგები, შეხვედრები, კოლეგებსა და კოლეჯებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, აზრების შეჯერება განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ახალბედა მასწავლებლების დატრენინგებას
6	სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გაუმჯობესება და პროგრამების დამატება	დუალური პრინციპით განხორციელდება სასუმრო მომსახურეობა, ამჟამად კოლეჯს აქვს 4 დუალური პროგრამა
1	კოლეჯის ახალი სასწავლო სახელოსნოების მშენებლობა	განათლების ინფრასტრუქტურის მიერ უკვე მომზადებულია 4 სახელოსნოს პროექტი და უახლოეს მომავალში გამოცხადდება ტენდერი.
2	სასწავლო სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სტანდარტებისა და წარმოებაში დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით გაუმჯობესება	ახალი სახელოსნოების აშენება დასრულდება 2020 წელს თანამედროვე აღჭურვილობით
3	კოლეჯის სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის აშენებისათვის პროექტის მომზადება (მინიმუმ 50	მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან და სამინისტროსთან

4	სასწავლო ლიტერატურით ბიბლიოთეკის მუდმივი განახლება	2019 წელს ავტორიზაცია გაიარა 12- მა პროგრამამ, მათთვის მომზადდა სულ 177 ელექტრონული სასწავლო ლიტერატურა ,ხოლო კოლეჯს უსასყიდლოდ გადმოეცა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ 20 -ერთეული, რომელიც დამუშავდა საბიბლიოთეკო წესით.სულ წიგნად ფონდს 2019 წელს დაემატა177 ეგზემპლეარი.
1	პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის სტრატეგიის შემუშავება- განსაზღვრაში.	სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ისურვებენ ექსტრაკურიკულუმის ღონისძიებების განხორციელებას, რაც მეტი ინტეგრაციის შესაძლებლობას მისცემთ.
2	პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის მიერ დაგეგმილ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში.	სტუდენტები უმეტესწილად ღონისძიებებს შორის უპირატესობას სპორტულ ღონისძიებებს ანიჭებენ.
3	ინკლუზიური განათლების მიღების შესაძლებლობების დახვეწა	სსსმ სტუდენტების მიღება ხორციელდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მიხედვით
4	წარჩინებული სტუდენტებისათვის რეკომენდაციის გაწევა საუკეთესო პარტნიორ (დამსაქმებელ) ორგანიზაციებთან	სისტემატურად ხორციელდება წარჩინებული კურსდამთავრებულებისათვის რეკომენდაციების გაწევა დამსაქმებლებთან, მათ შორის დასაქმებულია 1 შშმ პირი. (მზარეულად რესტორანში)- ნიკა წითაშვილი და „ენერგო პრო ჯორჯია“ს მიერ - სტიბენტიას ღებულობენ ელექტროობის სპეციალობის წარჩინებული სტუდენტები
5	მშობლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დასაქმებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა	კურსდამთავრებულთა კვლევა დასაქმების მაჩვენებლის განსაზღვრისათვის. კურსდამთავრებულთა შეხვედრა დასაქმების შესაძლებლობებისა და აპლიკანტთა რაოდენობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა. ყოველი ახალი სპეციალობის დანრეგვისა ხდება შრომის ბაზრისა და საჭიროებების, ასევე კონტიგენტის განსაზღვრა.
6	გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა	გამოკითხვის შედეგების ანალიზი ერთ-ერთი საფუძველია ახალი პროგრამების დანერგვის პროცესში

1	ახალი პარტნიორების მოძიება სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.	31 პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები, მათ შორის ახალი პარტნიორია -3
2	სკოლებში კოლეჯის საქმიანობის რეკლამირების მიზნით პრეზენტაციებისა და ღია კარის დღეების მოწყობა.	წლის განმავლობაში ვიზიტი რეგიონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში WSD ,,სკოლის მოსწავლეების პროფესიული უნარების ქვეპროგრამის ფარგლებში“ კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის საჯარო სკოლებთან
3	სკოლის დირექტორებისა და მოსწალეების ექსკურსიების ორგანიზება და პრეზენტაციებისა მოწყობა კოლეჯში.	ღია კარის დღე საჯარო სკოლების დირექტორების, პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის.
4	კონსულტაციების ორგანიზება სტუდენტებთან სამუშაოს ძებნისა და თვითპრეზენტაციის საკითხებში	ინტერპერსონალური კომუნიკაციის პედაგოგებთან ერთად პერიოდულად გაეწიათ კონსულტაციები სტუდენტებს სამუშაო ძებნისა და პრეზენტაციის საკითხებში, ასევე ზრდასრულთა ცენტრის მიერ ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები
5	პერსონალის და მიმართულების ხელმძღვანელების მეცადინეობებზე ურთიერთდასწრების ორგანიზება, სხდომაზე შედეგების განხილვა, ანალიზი, სათანადო დასკვნების გაკეთება;	-დარგის ხელმძღვანელებთან, ხარისხის მენეჯერთან და კარიერისა და პროფორიენტაციის მენეჯერთან ერთად ხდებოდა სხვადასხვა სახის კითხვარების მიხედვით პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა,მეცადინეობებზე დასწრება. სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები და შეხვედრების თემატიკაც მრავალფეროვანია. მათ შორის, სამუშაო შეხვედრებზე განიხილება საკითხები პროგრამის განხორციელების, არსებული გამოწვევებისა თუ პროგრამაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ხდება რეკომენდაციების დადება.
6	პროფესიული ორიენტაცია საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრაციის მიზნით.	ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს მიღების პროცესში ვაცნობთ მიღების წესთან დაკავშირებით მათთვის გაზრდილი შესაძლებლობების შესახებ. (ქართული ენის მოდულების)
7	დუალური პროგრამების სარეკლამო კამპანიის გაზრდა.	კოლეჯისა და გაეროს განვითარების პროგრამის, ფერმერთა ასოციაციის პარტნიორ ორგანიზაციებთან, თანამშორმლობით განათლების სამინისტროს მიერ მუდმივად ხდება დუალური სწავლების რეკლამირება სხვადასხვა აქტივობებით.